ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302417254**
თარიღი: **20/06/2024**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N 37

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N2587-XIმს-Xმპ; 09.02.2023 წელი) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N2587-XIმს-Xმპ; 09.02.2023) საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებს 2024 წლის 1 ივნისამდე დაევალათ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტისა და მოსაკრებლის განაკვეთების ამ კანონთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლის განაკვეთების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსს - მაია აფხაზავას.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და
ეკონომიკის სამსახური

წერილის ნომერი:**03-302417246**
თარიღი: **20/06/2024**

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსს ბატონ შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა,

,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის თანახმად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისტემურ ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;
2. სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250000 ლარი.
3. ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250000 ლარი.

ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარდგენის მიზნით მომზსენებლად წარმოგიდგენთ ეკონომიკისა და საინვენსტიციო პროექტების განყოფილების უფროსის, მაია აფხაზავას კანდიდატურას.

მაია აფხაზავა

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური-ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილება-განყოფილების უფროსი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106[1]–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2]–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N 26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე

დანართი

ცნობა

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2024 წლის --- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2024 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N2587-XIმს-Xმპ; 09.02.2023 წელი) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 10/08/2015 წელი, სარეგისტრაციო კოდი 210020020.35.112.016235) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-5 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5.

,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტად გათვალისწინებული მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს:

ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე – კვარტალში 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

დ.ა) სამორინეს თამაშობებზე -კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი ;

დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე - კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

დ.გ) ტოტალიზატორების თამაშობებზე - კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%;

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 3000 (სამი ათასი) ლარი;

ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე – კვარტალში 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

შენიშვნა: თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს, იგი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ამ მუხლით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**